

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში 2014 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულ განცხადებათა რაოდენობის, საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე, კერძოდ:

ა) საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილი იქნა 1109, მათ შორის დაკმაყოფილდა 1103 განცხადება, არ დაკმაყოფილდა 6 განცხადება, ინფორმაციის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე;

ბ) საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე განცხადება არ შემოსულა;

გ) საქსტატის კოლეგიურ ორგანოს - საქსტატის საბჭოს, სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

დ) საქსტატი უფლებამოსილების ფარგლებში აწარმოებს საჯარო მონაცემთა შემდეგ ძირითად ბაზებს:

დ.ა) შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის,

დ.ბ) ბიზნეს რეგისტრის;

ე) საქსტატი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. პერსონალური მონაცემები დაცულია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით.

პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების და შენახვისას საქსტატი ხელმძღვანელობს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით.

ვ) საქსტატის მიერ შეგროვებული და პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია და მესამე პირებს არ გადაეცემათ;

ზ) საქსტატის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევას და დისციპლინური სახდელის დაკისრებას 2014 წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია;

თ) ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას საქსტატი ხელმძღვანელობდა „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით;

ი) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა;

კ) მიმდინარე წლის განმავლობაში ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი საქსტატს არ გაუღია და მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდა საქსტატს არ დაკისრებია.